საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № -01-11/32

ქ. ბათუმი 20 მარტი, 2018 წ.

ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის
„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2017-2018 სასწავლო წლის
მეორე სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 22 თებერვლის №01-11/15 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მერაბ დიასამიძის, 2018 წლის 19 მარტის (304795) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 22 თებერვლის №01-11/15 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს III კორპუსი, N306 ოთახი)- 2018 წლის 28 მარტი.
ბ) კონკურსის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 2018 წლის 29 მარტი (ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით);
გ) საკონკურსო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვა და საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება - 2018 წლის 30 მარტი;
დ) შეღავათის მინიჭების შესახებ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძნების გამოცემა 2018 წლის 30 მარტი“.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა“ და ,,კონკურსები“) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და კომისიის წევრებს.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ **გ. გვარიშვილი**